

შპს „ბრავიტონი“

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

2025

შპს „ბრავიტონი“

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
---------------------------------------	---

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	16
4. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	17
6. მარაგები	17
7. ძირითადი საშუალებები	18
8. საინვესტიციო ქონება	19
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	20
10. ამონაგები	20
11. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	20
12. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	20
13. სხვა არასაოპერაციო ხარჯი	21
14. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან	21
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	22
16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბრავიტონის“ მენეჯმენტსა და მესაკუთრეს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ბრავიტონის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი – 245433829) (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, ცალკეული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ბრავიტონი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 8,145,149 ლარს (6,651,809 ლარს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით). ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს ან/და ალტერნატიული მეთოდებით მიგვეღო რწმუნება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასეულობების რაოდენობასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს იყო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, შედეგად ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით და აგრეთვე გამოყენებულ მარაგებთან დაკავშირებით, რაც შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

შპს „ბრავიტონის“ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა წინამორბედმა აუდიტორმა, რომელმაც 2024 წლის 25 ივნისს ამ ფინანსური ანგარიშგების შესახებ გამოთქვა პირობითი მოსაზრება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად, მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
 - დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
 - ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი

სერგო ნონიაშვილი

შპს „ეი ეი ჯგუფი“-ს სახელით 2025 წლის 20 ოქტომბერი

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;


- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი

სერგო ნონიაშვილი



შპს „ეი ეი ჯგუფი“-ს სახელით 2025 წლის 20 ოქტომბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	4,900,566	3,315,975
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	2,542,399	5,447,580
წინასწარ გადახდილი გადასახადები		468,807	-
მარაგები	6	8,145,189	6,651,809
სულ მიმდინარე აქტივები		16,056,961	15,415,364
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	6,362,757	5,647,654
საინვესტიციო ქონება	8	1,942,700	380,859
არამატერიალური აქტივები		1,389	2,146
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,306,846	6,030,659
სულ აქტივები		24,363,807	21,446,023
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	214,382	463,751
საგადასახადო ვალდებულებები		-	118,720
სულ ვალდებულებები		214,382	582,471
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გადაფასების რეზერვი	10	366,590	30,125
გაუნაწილებელი მოგება		23,780,835	20,831,427
სულ კაპიტალი		24,149,425	20,863,552
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		24,363,807	21,446,023

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და თანდართული განმარტებითი შენიშვნები 8-22 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 20 ოქტომბერს.

მურმან ბაკურიძე
დირექტორი

რუსუდან აბულაძე
მთავარი ბუღალტერი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	4,900,566	3,315,975
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	2,542,399	5,447,580
წინასწარ გადახდილი გადასახადები		468,807	-
მარაგები	6	8,145,189	6,651,809
სულ მიმდინარე აქტივები		16,056,961	15,415,364
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	6,362,757	5,647,654
საინვესტიციო ქონება	8	1,942,700	380,859
არამატერიალური აქტივები		1,389	2,146
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,306,846	6,030,659
სულ აქტივები		24,363,807	21,446,023
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	214,382	463,751
საგადასახადო ვალდებულებები		-	118,720
სულ ვალდებულებები		214,382	582,471
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გადაფასების რეზერვი	10	366,590	30,125
გაუნაწილებელი მოგება		23,780,835	20,831,427
სულ კაპიტალი		24,149,425	20,863,552
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		24,363,807	21,446,023

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და თანდართული განმარტებითი შენიშვნები 8-22 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 20 ოქტომბერს.

მურმან ბაკურიძე
დირექტორი



რუსუდან აბულაძე
მთავარი ბუღალტერი

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავლები:			
საოპერაციო შემოსავალი	10	43,514,255	34,701,322
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება:	11	(40,121,618)	(32,113,137)
საერთო მოგება		3,392,637	2,588,185
საოპერაციო ხარჯები			
სახელფასო ხარჯები		(758,925)	(608,395)
იჯარის ხარჯი		(46,050)	(46,050)
საოფისე ხარჯები		(29,549)	(9,693)
კომუნიკაციის ხარჯი		(14,700)	(9,085)
ტრანსპორტირების ხარჯები		(346,866)	(203,438)
კომუნალური ხარჯები		(30,395)	(23,798)
დაცვის ხარჯი		(13,441)	(12,682)
საკონსულტაციო ხარჯები		(18,900)	(19,765)
ბანკის საკომისიო ხარჯები		(13,695)	(12,913)
ცვეთა და ამორტიზაცია		(60,434)	(173,040)
უიმედო ვალების ჩამოწერა		(812,504)	-
საგადასახადო ხარჯი		(69,091)	(41,683)
მივლინების ხარჯი		(2,071)	-
სხვა ხარჯი		(93,806)	(96,158)
საოპერაციო მოგება/ზარალი		1,082,210	1,331,485
საპროცენტო შემოსავალი		200,724	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	12	2,425,476	806,927
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	13	(401,108)	(337,507)
მოგება დაბეგვრამდე		3,307,302	1,800,905
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		3,307,302	1,800,905
სხვა სრული შემოსავალი	7	336,465	-
მთლიანი სრული შემოსავალი		3,643,768	1,800,905

მურმან ბაკურიძე

რუსუდან აბულაძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

შპს ბრავიტონი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავლები:			
საოპერაციო შემოსავალი	10	43,514,255	34,701,322
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება:	11	(40,121,618)	(32,113,137)
საერთო მოგება		3,392,637	2,588,185
საოპერაციო ხარჯები			
სახელფასო ხარჯები		(758,925)	(608,395)
იჯარის ხარჯი		(46,050)	(46,050)
საოფისე ხარჯები		(29,549)	(9,693)
კომუნიკაციის ხარჯი		(14,700)	(9,085)
ტრანსპორტირების ხარჯები		(346,866)	(203,438)
კომუნალური ხარჯები		(30,395)	(23,798)
დაცვის ხარჯი		(13,441)	(12,682)
საკონსულტაციო ხარჯები		(18,900)	(19,765)
ბანკის საკომისიო ხარჯები		(13,695)	(12,913)
ცვეთა და ამორტიზაცია		(60,434)	(173,040)
უიმედო ვალების ჩამოწერა		(812,504)	-
საგადასახადო ხარჯი		(69,091)	(41,683)
მივლინების ხარჯი		(2,071)	-
სხვა ხარჯი		(93,806)	(96,158)
საოპერაციო მოგება/ზარალი		1,082,210	1,331,485
საპროცენტო შემოსავალი		200,724	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	12	2,425,476	806,927
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	13	(401,108)	(337,507)
მოგება დაბეგვრამდე		3,307,302	1,800,905
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		3,307,302	1,800,905
სხვა სრული შემოსავალი	7	336,465	-
მთლიანი სრული შემოსავალი		3,643,768	1,800,905

მურმან ბაკურიძე

დირექტორი



რუსუდან აბულაძე

მთავარი ბუღალტერი

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
31.12.2022 წაშთი	2,000	19,377,890	30,125	19,410,015
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი 31.12.2023	-	1,800,905	-	1,800,905
დივიდენდის გაცემა	-	(347,368)	-	(347,368)
გადაფასების რეზერვი	-	-	-	-
31.12.2023 წაშთი	2,000	20,831,427	30,125	20,863,552
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი 2024	-	-	-	3,307,302
დივიდენდის გაცემა	-	(357,894)	-	(357,894)
გადაფასების რეზერვი	-	-	336,465	336,465
31.12.2024 წაშთი	2,000	20,473,533	366,590	24,149,425

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები მოცემულია ლარში)

	2024	2023
შემოსავლები:		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	48,634,194	40,674,821
ავანსად მიღებული თანხები	1,586,596	225,019
სესხის პროცენტის მიღება	200,724	-
სულ შემოსული თანხები	50,421,514	40,899,840
საოპერაციო ხარჯები:		
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(46,644,353)	(42,357,600)
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები	(571,204)	(441,652)
სესხის პროცენტის დაფარვა	-	-
გადახდილი გადასახადები	(1,206,603)	(196,363)
სულ გაცემული თანხები	(48,422,160)	(42,995,615)
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	1,999,354	(2,095,775)
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(173,614)	-
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	(173,614)	-
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
დივიდენდის გაცემა	(340,000)	(330,000)
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	(340,000)	(330,000)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	1,485,740	(2,425,775)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	3,315,975	5,749,017
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	128,561	212,282
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(29,710)	(219,549)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	4,900,566	3,315,975

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბრავიტონი“ დაფუძნებულია 1999 წლის 30 აგვისტოს. 2024 წლის მდგომარეობით შპს ბრავიტონის“ დამფუძნებლები არიან:

ფ/პ მურმან ბაკურიძე პ/ნ 61001005681, საქართველოს მოქალაქე 50%-ის წილით.

ფ/პ სულეიმან ბაკურიძე პ/ნ 61001005681, საქართველოს მოქალაქე 50 % წილით.

2025 წლის მარტში მოხდა სულეიმან ბაკურიძის მიერ კუთვნილი 50 % წილის ფ/პ მინდია ბაკურიძესთვის პ/ნ 61001067953 გადაცემა.

საწარმოს იურიდიული მისამართია ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N2, ფაქტიურად სავაჭრო საქმიანობას ხორციელებს ქ. ბათუმში, ორბელიანის ქ. N16-ში და ლეონიძის ქ. N25-ში, სადაც ხდება არეალიზაციო საქონლის მიღება-დასაწყობება და შემდგომ რეალიზაცია.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAშB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFღმ ფორმე's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. პირვანდელი ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების

მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება ეყრდნობა გარკვეულ შეფასებებს.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის.

უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR
31-დეკ-2024	2.8068	2.9306
31-დეკ-2023	2.6894	2.9753
საშუალო კურსი 2024	2.7208	2.9440
საშუალო კურსი 2023	2.6279	2.8416

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში იბეგრება მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ მიხედვით, რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. დაბეგვრის ეს მოდელი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვაგამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორი პირებისა).

აღნიშნული მოდელის შესაბამისად, მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არ იბეგრებიან მოგების გადასახადით „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს, რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

2024 წლის მარტიდან კომპანიამ შენობების აღრიცხვის ნაწილში მოახდინა აქტივების შეფასება რეალური ღირებულებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი

მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	წლიური ცვეთის ნორმა
შენობა-ნაგებობები	20-50 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წელი
მანქანა-დანადგარები	15 წელი
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	5-10 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონების დანიშნულებასა საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება. საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს საბაზრო მონაცემებს საანგარიშგებო თარიღში. საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულების ცვლილებით მიღებული მოგება ან ზარალი შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილ ფასთა მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამოწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

წესდებით განსაზღვრული კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც განთავსებული კაპიტალი.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველარისკა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად

საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება შესაბამის მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

გადაფასებული შენობა-ნაგებობებისთვის ხელახლა ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და განსაზღვრა.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

(ციფრები მოცემულია ლარში)

	31.12.2024	31.12.2023
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	348,753	244,656
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	2,564,353	2,359,420
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,987,460	711,899
სულ	4,900,566	3,315,975

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დენომინირებულია ქართულ ლარში.

	31.12.2024	31.12.2023
მოთხოვნა იურიდიულ პირებთან	1,845,029	2,586,923
მოთხოვნა ფიზიკური პირებთან	226,071	318,006
გადახდილი ავანსი	471,299	2,542,651
სულ	2,542,399	5,447,580

6. მარაგები

(ციფრები მოცემულია ლარში)

	31.12.2024	31.12.2023
სარეალიზაციო მარაგები	8,145,189	6,645,294
სხვა მარაგები	-	6,515
სულ	8,145,189	6,651,809

7. ძირითადი საშუალებები

(ციფრები მოცემულია ლარში)

	მიწა	შენობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	აგეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	სპეციალური ტექნიკა	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	845,000	1,570,320	1,624,350	99,361	86,330	19,662	4,245,023
შემოსვლა	663,950	-	1,057,062	74,267	12,696	-	1,807,975
გასვლა	-	-	-	(1,547)	(53,526)	-	(55,073)
2023 წლის 31 დეკემბერი	1,508,950	1,570,320	2,681,412	172,081	45,500	19,662	5,997,925
შემოსვლა	-	-	302,263	120,770	12,149	-	435,182
გასვლა	-	-	-	-	(1,144)	(19,662)	(20,806)
გადაფასების რეზერვი	-	75,505	-	-	-	-	75,505
2024 წლის 31 დეკემბერი	1,508,950	1,645,825	2,983,675	292,851	56,505	-	6,487,806
დაგროვილი ცვეთა							
2022 წლის 31 დეკემბერი	-	223,736	-	40,800	70,829	17,033	352,398
წლის ცვეთა	-	73,797	-	10,305	3,931	1,965	89,998
გასული აქტივის ცვეთა	-	-	-	(1,301)	(45,117)	-	(46,418)
ცვეთის დარიცხვის პოლიტიკის ცვლილების გავლენა -	-	(18,003)	-	(12,450)	(15,254)	-	(45,707)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	279,530	-	37,354	14,389	18,998	350,271
წლის ცვეთა	-	35,761	-	14,471	4,804	-	55,036
დაგროვილი ცვეთის გადატანა გადაფასების რეზერვზე	-	(260,960)	-	-	-	-	(260,960)
გასული აქტივის ცვეთა	-	-	-	-	(300)	(18,998)	(19,298)
2024 წლის 31 დეკემბერი	-	54,331	-	51,825	18,893	-	125,049
საბალანსო ღირებულება							
2022 წლის 31 დეკემბერი	845,000	1,346,584	1,624,350	58,561	15,501	2,629	3,892,625
2023 წლის 31 დეკემბერი	1,508,950	1,290,790	2,681,412	134,727	31,111	664	5,647,654
2024 წლის 31 დეკემბერი	1,508,950	1,591,494	2,983,675	241,026	37,612	-	6,362,757

კომპანიის საკუთრებაში არსებული არცერთი ძირითადი საშუალება არ წარმოადგენს ვალდებულებების უზრუნველყოფის საგანს.

კომპანიამ შენობები 2024 წლის 15 მარტის მდგომარეობით შეაფასებინა დამოუკიდებელ აუდიტორს (შპს აუდიტსერვისი), შეფასება მოხდა საბაზრო ღირებულებების განსაზღვრის პრინციპით და ნამეტი

ღირებულება დაექვემდებარა „ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის“ მუხლში აღიარებას 336 465 ლარის ოდენობით. ასევე 2024 წელს შეიცვალა შენობების სასარგებლო მომსახურების ვადები და განისაზღვრა 50 წლით ნაცვლად 20 წლისა.

8. საინვესტიციო ქონება

(ციფრები მოცემულია ლარში)

	შენობები
2022 წლის 31 დეკემბერი	877,449
შემოსვლა	-
გასვლა	-
2023 წლის 31 დეკემბერი	877,449
შემოსვლა	-
გასვლა	-
გადაფასება	1,065,251
2024 წლის 31 დეკემბერი	1,942,700
დაგროვილი ცვეთა	
2022 წლის 31 დეკემბერი	414,904
წლის ცვეთა	81,686
გასული აქტივის ცვეთა	-
2023 წლის 31 დეკემბერი	496,590
წლის ცვეთა	4,087
დაგროვილი ცვეთის გადატანა მოგება/ზარალზე	(500,677)
გასული აქტივის ცვეთა	-
2024 წლის 31 დეკემბერი	-
საბალანსო ღირებულება	
2022 წლის 31 დეკემბერი	462,545
2023 წლის 31 დეკემბერი	380,859
2024 წლის 31 დეკემბერი	1,942,700

საინვესტიციო ქონებას წარმოადგენს იჯარით გაცემული შენობები, თბილისი, თ. ერისთავის ქ. N 2გ-ში არსებული კომერციული ფართი, რომელიც 2024 წლის 15 მარტის მდგომარეობით კომპანიამ შეაფასებინა დამოუკიდებელ აუდიტორს (შპს აუდიტსერვისი), შეფასება მოხდა საბაზრო ღირებულებების განსაზღვრის პრინციპით და ნამეტი ღირებულება დაექვემდებარა არასაოპერაციო შემოსავალში აღიარებას 1 565 927 ლარის ოდენობით.

საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივები საფიფნანსიო დაწესებულებასთან 2021 წელს გაფორმებული საკრედიტო ხაზის და იპოთეკის ხელშეკრულებების საფუძველზე დატვირთულია

იპოთეკით, თუმცა კომპანიას აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ფინანსური ვალდებულება არ უფიქსირდება.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დენომინირებულია ქართულ ლარში.

	31.12.2024	31.12.2023
ვალდებულება მომწოდებლებთან	136,846	173,721
ავანსად გადახდილი თანხები	77,536	290,030
სულ	214,382	463,751

10. ამონაგები

	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	43,589,431	34,709,948
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(212,166)	(136,836)
შემოსავლები საიჯარო მომსახურებიდან	136,990	128,209
სულ	43,514,255	34,701,322

11. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	40,308,673	32,234,974
უკანდაბრუნებული პროდუქციის თვითღირებულება	(187,055)	(121,837)
სულ	40,121,618	32,113,137

12. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	2024	2023
დადებითი საკურსი სხვაობა	370,567	1,076
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი	1,561,840	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	493,069	805,851
სულ	2,425,476	806,927

13. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

	2024	2023
უარყოფითი საკუროს სხვაობა	272,489	20,737
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	128,619	316,770
სულ	401,108	337,507

14. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავეს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები;

ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა;

ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

ეს საწარმო, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავე საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(ა) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

განხორციელებული

ტრანზაქციები

პარტნიორთან და

ძირითად

მენეჯმენტთან

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2024	დაუფარავი ნაშთი 31.12.2023	ტრანზაქციის ღირებულება 2024 წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2023 წელი
ამონაგები	13,109	18,046	-	8,894
იჯარის ხარჯები	-	-	(46,050)	(46,050)
ხელფასის ხარჯები	-	-	(79,140)	(76,778)
გაცემული დივიდენდები	-	-	(357,894)	(347,348)

**ტრანზაქციები სხვა
დაკავშირებულ მხარეებთან**

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2024	დაუფარავი ნაშთი 31.12.2023	ტრანზაქციის ღირებულება 2024 წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2023 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(106,291)	(106,291)	-	-

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოხდა შემდეგი ცვლილებები:

1. კომპანიამ შეიძინა არასასოფლო სამეურნეო მიწა ქ.ბათუმში ლეონიძის # 25 -ში 116 კვ.მ.
2. შეიცვალა დამფუძნებლები, კერძოდ სულიმან ბაკურიძემ (პ/ნ61001018529) კუთვნილი 50% წილი გადასცა მინდია ბაკურიძეს (პ/ნ61001067953).
3. კომპანიის მიერ შეძენილ იქნა მეტალო პლასმასის კარ-ფანჯრების წარმოებისთვის 809 804 ლარის მანქანა დანადგარები, რომელთა ექსპლუატაციაში გაშვება მოხდება უახლოეს მომავალში.
4. კომპანიამ გასცა დივიდენდი 2025 წელს 610,526 ლარის ოდენობით.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე გარდა ზემოაღნიშნულისა ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რაც უნდა გამჟღავნებულიყო ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს „ბრავიტონის“ დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 20 ოქტომბერს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეიტანოს დამატებები და ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ.

მურმან ბაკურიძე

დირექტორი

რუსუდან აბულაძე

მთავარი ბუღალტერი

ტრანზაქციები სხვა
დაკავშირებულ მხარეებთან

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2024	დაუფარავი ნაშთი 31.12.2023	ტრანზაქციის ღირებულება 2024 წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2023 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(106,291)	(106,291)	-	-

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები


საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოხდა შემდეგი ცვლილებები:

1. კომპანიამ შეიძინა არასასოფლო სამეურნეო მიწა ქ.ბათუმში ლეონიძის # 25 -ში 116 კვ.მ.
2. შეიცვალა დამფუძნებლები, კერძოდ სულიმან ბაკურიძემ (პ/ნ61001018529) კუთვნილი 50% წილი გადასცა მინდია ბაკურიძეს (პ/ნ61001067953).
3. კომპანიის მიერ შეძენილ იქნა მეტალო პლასმასის კარ-ფანჯრების წარმოებისთვის 809 804 ლარის მანქანა დანადგარები, რომელთა ექსპლუატაციაში გაშვება მოხდება უახლოეს მომავალში.
4. კომპანიამ გასცა დივიდენდი 2025 წელს 610,526 ლარის ოდენობით.


საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე გარდა ზემოაღნიშნულისა ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რაც უნდა გამჟღავნებულიყო ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს „ბრავიტონის“ დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 20 ოქტომბერს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეიტანოს დამატებები და ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ.


მურმან ბაკურიძე
დირექტორი




რუსუდან აბულაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „ბრავიტონი“
მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ბრავიტონი“ დაფუძნებულია 1999 წლის 30 აგვისტოს.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო მასალებით, კერძოდ: რკინის პროფილებით, მილებით, არმატურით, ლითონის ფურცლებით და სხვა მასალებით ვაჭრობა, ასევე იჯარით აქვს გაცემული უძრავი ქონება.

საწარმოს იურიდიული მისამართია ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N2,

კომპანიის დირექტორია მურმან ბაკურიძე.

კომპანიის მეწილეები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მურმან ბაკურიძე	100%	100%
სულეიმან ბაკურიძე	100%	100%

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობა მრავალდარგოვანია, ამჟამად ხორციელდება სამშენებლო მასალებით, კერძოდ რკინის პროფილებით, მილებით, არმატურით, ლითონის ფურცლებით და სხვა მასალებით ვაჭრობა. კომპანიას ასევე ქ. თბილისში, ერისთავის ქ. N2-ში გააჩნია სავაჭრო ობიექტი, რომელიც ამჟამად გაცემულია იჯარით.

საქმიანი პროცესების სწორად წარმართვის მიზნით კომპანიაში ჩამოყალიბებულია მწყობრი სტრუქტურული სისტემა. აპარატი დაკომპლექტებულია გამოცდილი იურიდიული, ფინანსური და სხვა სპეციალისტების მქონე პირებით.

კომპანიის ხელმძღვანელობის უმთავრესი ამოცანაა ყოველწლიურად გაუმჯობესდეს ეკონომიკური მაჩვენებლები, მოხდეს დასაქმებულთა რაოდენობის შენარჩუნება და ზრდა. საქმიანობის გაფართოების მიზნით, კომპანიამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან 2021 წლის 20 დეკემბერს პირობიანი აუქციონის ფორმით შეიძინა 7012 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართი 845000,00 ლარად, აღნიშნულ ფართზე აშენდა 4320 კვ.მ. ფართის სასაწყობო მეურნეობა რომლის აშენებასა და დანადგარ-მოწყობილობაზე განხორციელდა 3 918 109 ლარის ინვესტიცია. მიმდინარე წლის ბოლომდე იგეგმება აღნიშნული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება რის შედეგადაც დამატებით დასაქმდება დაახლოებით 40 თანამშრომელი და შესაბამისად გაუმჯობესდება კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები.

მენეჯერთა გუნდი წარმატებით ართმევს თავს კომპანიის თანმიმდევრული და დაბალანსებული განვითარების ამოცანებს.

სუბიექტის ფილიალები

კომპანია სავაჭრო საქმიანობას ახორციელებს ქ. ბათუმში, ორბელიანის ქ. N16-ში და ლეონიძის ქ. N25-ში, სადაც ხდება სარეალიზაციო საქონლის მიღება-დასაწყობება და შემდგომ რეალიზაცია. ასევე ქ. თბილისში, ერისთავის ქ. N2-ში გააჩნია სავაჭრო ობიექტი, რომელიც ამჟამად გაცემულია იჯარით.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები


კომპანია პერმანენტულად ახორციელებს ბაზარზე არსებული ფასების, კონკურენტების შესწავლას. ასევე ბაზრის მოთხოვნის შესწავლას.

კვლევების მიზანია ახალი კონკურენტების ანალიზი, რაც კომპანიის ბაზარზე პოზიციონირებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები

შპს „ბრავიტონის“ თანამშრომლების რაოდენობა და ამონაგები წლიდან წლამდე მზარდია, იხილეთ ცხრილი:

	თანამშრომლების წლიური საშუალო რაოდენობა	წლიური ამონაგები (ლარი)
2023	29	34,701,322
2024	31	43,514,255



კომპანიის 2024 წლის ფინანსური მდგრალობის მაჩვენებლები:

$$\text{ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = \frac{16,056,961}{214,382} = 74,90$$

$$\text{სწრაფი ლიკვიდურობა} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები - მარაგები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = \frac{7,911,772}{214,382} = 36,91$$

კომპანიის კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის დასაწყისში შეადგენდა 2,000 ლარს. 2024 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალის ცვლილება არ მომხდარა.

2024 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენდა 20,831,427 ლარს. 2024 წლის წმინდა მოგებამ შეადგინა 3,307,302 ლარი, ხოლო კომპანიის მფლობელებზე გაიცა 357,894 ლარის დივიდენდი.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შპს ბრავიტონისთვის მთავარი რისკი არის ქვეყნის ეკონომიკის მერყეობა. ისევე როგორც სხვა ქართული კომპანიებისთვის, წარმატებული საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია სტაბილური ეკონომიკური გარემო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართულ ბაზარზე განვითარდეს სამშენებლო ბიზნესი და გაიზარდოს მოთხოვნა ხარისხიან სამშენებლო მასალებზე.

კომპანია ექვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების რყევების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასთან და ფულად ნაკადებთან მიმართებით, რადგანაც ოპერაციების ნაწილი ხორციელდება უცხოურ ვალუტაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ ვერ შეძლო ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. კომპანიის ლიკვიდურობის რისკს აანალიზებს და მართავს კომპანიის ხელმძღვანელობა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ექვემდებარება ლიკვიდურობის რისკს.

არაფინანსური ანგარიში

სოციალური პასუხისმგებლობა

უპირველესი სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც შპს „ბრავიტონის“ უშუალო საქმიანობას უკავშირდება, მომხმარებლებისათვის ხარისხიანი და საიმედო პროდუქციის მიწოდებაა.

კორპორაციულ-სოციალური პასუხისმგებლობა

„კომპანია“ აცნობიერებს თავის კორპორაციულ პასუხისმგებლობას და თვლის, რომ შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების მდგრად განვითარებაში. კომპანია ითვალისწინებს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს სამუშაო სტრატეგიის შემუშავებისა და ოპერაციების გაუმჯობესებისათვის.

ადამიანთა უფლებების დაცვა

კომპანიაში მაქსიმალურად დაცულია ადამიანთა ძირითადი უფლებები, მათ შორის შრომითი უფლებები.

კომპანია დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა კანდიდატს განურჩევლად რასის, რელიგიის, სქესის, ეროვნების, ასაკის, და ა.შ. ეს პოლიტიკა ძალაშია დასაქმების ყველა პირობის შემთხვევაში, მათ შორის: დაქირავების, დაწინაურების, ხელშეკრულების გაფორმების, კომპენსაციის, ტრენინგის და სხვა შრომით სამართლებრივი მოქმედებების შემთხვევაში.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კომპანია საკუთარ ბიზნეს-საქმიანობას წარმართავს ეთიკის პრინციპების დაცვით, ისევე როგორც მოქმედი შიდა და საერთაშორისო ანტიკორუფციული მოთხოვნებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. კომპანიის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობასა და რეგულაციებს, და ასევე საერთაშორისო სტანდარტებს.

კომპანიის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა კრძალავს ღირებულების მქონე ნებისმიერი სიკეთის გადაცემას ან შეთავაზებას ნებისმიერი პირისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი პირისგან მის მიღებას ან წახალისებას კორუფციული მოტივით, როგორცაა მაგალითად დაუმსახურებელი ანაზღაურების ან შეღავათის მინიჭება სახელმწიფო მოხელისთვის ან უკანონო ბიზნეს-უპირატესობის მოსაპოვებლად კერძო პირისთვის.

წინამდებარე პოლიტიკა კრძალავს როგორც ქრთამის შეთავაზებასა და გადახდას, ისე მის დაპირებას (როგორც პირდაპირ, ისე ირიბად), ასევე ქრთამის მოთხოვნის, აღების, ან აღების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერას, წახალისებას ან პროვოცირებას ნებისმიერი ფორმით.

კორუფციის და მექრთამეობის რისკები ფასდება რეგულარულად, მექრთამეობის რისკების იდენტიფიცირების, პრიორიტეტის მინიჭების და თავიდან აცილების მიზნით. კომპანიაში დანერგილია შესაბამისი შიდა კონტროლები, ბიზნეს-პროცესებში ჩართული თანამშრომლების პასუხისმგებლობა არის გადანაწილებული და არსებობს რამდენიმე დონის კონტროლი. თითოეული მენეჯერი ამოწმებს მისი საქმიანობის სფეროს და ადგენს დარღვევების/რისკებს. დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 20 ოქტომბერს.

მურმან ბაკურიძე

დირექტორი

20.10.2025 წ.

კორპორაციულ-სოციალური პასუხისმგებლობა

„კომპანია“ აცნობიერებს თავის კორპორაციულ პასუხისმგებლობას და თვლის, რომ შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების მდგრად განვითარებაში. კომპანია ითვალისწინებს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს სამუშაო სტრატეგიის შემუშავებისა და ოპერაციების გაუმჯობესებისათვის.

ადამიანთა უფლებების დაცვა

კომპანიაში მაქსიმალურად დაცულია ადამიანთა ძირითადი უფლებები, მათ შორის შრომითი უფლებები.

კომპანია დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა კანდიდატს განურჩევლად რასის, რელიგიის, სქესის, ეროვნების, ასაკის, და ა.შ. ეს პოლიტიკა ძალაშია დასაქმების ყველა პირობის შემთხვევაში, მათ შორის: დაქირავების, დაწინაურების, ხელშეკრულების გაფორმების, კომპენსაციის, ტრენინგის და სხვა შრომით სამართლებრივი მოქმედებების შემთხვევაში.


კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კომპანია საკუთარ ბიზნეს-საქმიანობას წარმართავს ეთიკის პრინციპების დაცვით, ისევე როგორც მოქმედი შიდა და საერთაშორისო ანტიკორუფციული მოთხოვნებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. კომპანიის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობასა და რეგულაციებს, და ასევე საერთაშორისო სტანდარტებს.

კომპანიის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა კრძალავს ღირებულების მქონე ნებისმიერი სიკეთის გადაცემას ან შეთავაზებას ნებისმიერი პირისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი პირისგან მის მიღებას ან წახალისებას კორუფციული მოტივით, როგორცაა მაგალითად დაუმსახურებელი ანაზღაურების ან შეღავათის მინიჭება სახელმწიფო მოხელისთვის ან უკანონო ბიზნეს-უპირატესობის მოსაპოვებლად კერძო პირისთვის.

წინამდებარე პოლიტიკა კრძალავს როგორც ქრთამის შეთავაზებასა და გადახდას, ისე მის დაპირებას (როგორც პირდაპირ, ისე ირიბად), ასევე ქრთამის მოთხოვნის, აღების, ან აღების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერას, წახალისებას ან პროვოცირებას ნებისმიერი ფორმით.

კორუფციის და მექრთამეობის რისკები ფასდება რეგულარულად, მექრთამეობის რისკების იდენტიფიცირების, პრიორიტეტის მინიჭების და თავიდან აცილების მიზნით. კომპანიაში დანერგილია შესაბამისი შიდა კონტროლები, ბიზნეს-პროცესებში ჩართული თანამშრომლების პასუხისმგებლობა არის გადანაწილებული და არსებობს რამდენიმე დონის კონტროლი. თითოეული მენეჯერი ამოწმებს მისი საქმიანობის სფეროს და ადგენს დარღვევების/რისკებს. დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 20 ოქტომბერს.


მურმან ბაკურიძე

დირექტორი

20.10.2025 წ.

